

## თანამედროვე მედია

„ბავშვს, მოზარდ თაობას, ერთი მხრივ, ესაჭიროება ამოცანები, რომელთა წყალობითაც გაიზრდება, მეორე მხრივ კი - საზოგადოება, სადაც ის თავს დაცულად იგრძნობს. თუკი, ბავშვები ამ საჭიროებებს რეალურ ცხოვრებაში იპოვიან ვირტუალურ ჩამნაცვლებლებზე მოთხოვნა აღარ გაუჩნდებათ. თანამედროვე მედია არაჩვეულებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ბევრი რამის გაკეთება შესაძლებელი, მაგრამ ის ერთი რამისთვის არ უნდა გამოვიყენოთ – მედია არ უნდა ვაქციოთ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროდ. ეს ეხება, მშობლებსაც . . .“.

Gerald Hüther  
თვინის მკვლევარი

უდავოა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა არნახული შესაძლებლობები მისცა კაცობრიობას, მაგრამ ასევე გაიზარდა ის საფრთხეც, რაც მედიის არასწორმა მოხმარებამ შეიძლება მოიტანოს. სულ უფრო მატულობს კომპიუტერსა და ინტერნეტზე დამოკიდებულ ადამიანთა, მათ შორის, ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი, რომლებსაც კლინიკური დახმარება სჭირდებათ. ონლაინდამოკიდებულების ზოგადი სიმპტომებია:

- აქტივობათა არეალის შევიწროება
- უმნიშვნელოვანეს აქტივობად კომპიუტერული თამაშის ქცევა
- ნეგატიურ გრძნობათა მოზღვაება
- მოუსვენრობა, აფექტურობა და ნერვული დაძაბულობა
- დროის გაკონტროლების უნარის დაკარგვა
- მოთხოვნილება უფრო მეტად მძაფრსიუჟეტის თამაშებზე
- ასოციალურობა, სოციალური კონფლიქტები

როგორც ხედავთ, ეს სიმპტომები ძალზე წააგავს ნარკოტიკზე დამოკიდებულთა სიმპტომატიკას და სპეციალურ თერაპიას საჭიროებს. ამიტომ, ევროპის ქვეყნების მთელ რიგ კლინიკებში შემუშავებულია პროექტები ონლაინდამოკიდებულთა ჯგუფური თერაპიისთვის.

ამავე დროს, მედიკოსებმა და ფსიქოლოგებმა განსაზღვრეს ის კომპეტენციები, რომელიც მედიასთან გონივრულ მიდგომას უზრუნველყოფს. ეს კომპეტენციებია:

- ტექნიკური კომპეტენცია-სწორი მოხმარება
- განსჯის უნარი - შესაძლებლობათა და საფრთხეთა გათვალისწინება
- ზოგადი განათლება
- დამოუკიდებელი აზროვნება
- ფანტაზიის უნარი
- კონცენტრაციის უნარი
- ხანგრძლივობის კონტროლი
- თვითდისციპლინა
- 

ცხადია, გარკვეულ ასაკამდე ბავშვს ეს კომპეტენციები არ გააჩნია და შეუძლებელიცაა, რომ გააჩნდეს. კომპიუტერი, არა თუ ვერ განავითარებს ამ უნართა უმრავლესობას, არამედ აფერხებს კიდევ მათ სათანადო ფორმირებას. ეს კი, ზრდის მშობლებისა და პედაგოგების პასუხისმგებლობას. მათი ვალია, იზრუნონ ამ კომპეტენციების განვითარებაზე, რათა კომპიუტერმა არ შთანთქოს მთელი ის დრო, რომელიც ბავშვს რეალურ სამყაროსთან აქტიური ინტერაქციისთვის მიეცა.

## კომპიუტერული თამაშები

თამაში მოზარდი ადამიანის საქმიანობის არსებითი და ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. გონებრივ უნართა და მოტორულ შესაძლებლობათა დიდი უმრავლესობა მუშავდება და ვითარდება სწორედ თამაშის მეშვეობით. ნებისმიერი თამაში ბავშვის ბუნებრივ მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს, რაც მოძრაობასთან ერთად, თამაშში ფანტაზიისა და შემოქმედებითი ელემენტის შეტანას გულისხმობს.

ვინც თვალს ადევნებს მოთამაშე ბავშვს, მისთვის აშკარაა, რომ ბავშვის დამოკიდებულება თამაშის მიმართ შეცვლილია. ბავშვი – აქტიური, მაყურებელმა ჩაანაცვლა. ტელევიზორმა და კომპიუტერმა მეტი ადგილი დაიკავა თანამედროვე მოზარდის ცხოვრებაში, ვიდრე ჩვეულებრივმა, უბრალო თამაშმა. ამასთან, კომპიუტერთან ბავშვი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), ვიდრე ტელევიზორთან (ტელევიზორთან დისტანცირებულია 2-3 მეტრით, ჩართულია მხედველობითა და სმენით; ხოლო კომპიუტერთან – 50 სმ-ით და ჩართულია მხედველობით, სმენით, შეხებით, და მოძრაობის გრძობით). ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერთან მიმართება ბევრად უფრო ინტენსიურია. კომპიუტერული ინდუსტრია ამას შესანიშნავად იყენებს და ახალ-ახალ სათამაშო-გასართობ პროგრამებს სთავაზობს მომხმარებელს.

აქ არ შევუდგებით ამ პროგრამების განხილვას, შევხებით მხოლოდ სასწავლო-შემეცნებით პროგრამებს, რომელსაც სხვადასხვა ასაკის (მათ შორის სკოლამდელი) ბავშვებს სთავაზობენ. ამ პროგრამების მიზანია „თამაშ-თამაშ“ ცოდნის გადაცემა, ანუ სახალისო სწავლაზე და ინტელექტის განვითარებაზე ორიენტირებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქამდე პიროვნული კომპეტენციის საზომად მიჩნეული „JQ“ (ინტელექტის კოეფიციენტი) ცნება, რომლითაც ინფორმაციის ლოგიკური გადამუშავების უნარი განისაზღვრებოდა, ბევრად გაფართოვდა და დღეს უკვე საუბარია 6 სახის ინტელექტზე (Howard Gardner “Absched vom JQ”) ესენია:

- ლინგვისტური
- მუსიკალური
- ლოგიკურ-მათემატიკური
- სივრცითი
- სხეულებრივ-კინესტეტიკური
- პერსონალური

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დავუბრუნდეთ სასწავლო-შემეცნებით პროგრამებს. მათი არსი შემდეგია: მოთამაშეს (აღსაზრდელს, მოსწავლეს) ეძლევა ამოცანა, რომელიც უნდა გადაჭრას. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს მას უფლება განაგრძოს თამაში. ერთი შეხედვით, ასეთ პროგრამებს საოცრად დიდი სასწავლო ეფექტი გააჩნია. მაგრამ, დაკვირვება ცხადყოფს, რომ ბავშვებს ამოცანის ამოხსნისას იმდენად თემის შეცნობა კი არ ამოძრავებთ, რამდენადაც თამაშის შემდეგ ეტაპზე გადასვლის სურვილი. თანაც ამ პროგრამებს დიდი „მოთმინება“ ახასიათებთ. მოთამაშეს შეუძლია იმდენჯერ გასცეს პასუხი, ვიდრე სწორ ვარიანტს არ მიაგნებს. მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვმა ამოცანა ნამდვილად გადაჭრა, თუ უბრალოდ „გაარტყა“. ხოლო ის ცოდნა, რომელიც ამ გზით შეიძინა, მყარი არაა და სხვა სიტუაციებში ძნელად თუ გამოიყენებს.

არიან პედაგოგები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მსგავსი პროგრამები ესმარება ბავშვებს კონცენტრაციის უნარის გამომუშავებაში, ვინაიდან ბევრ მოუსვენარ ბავშვს საათობით შეუძლია კომპიუტერთან გაუნძრევლად ჯდომა. მაგრამ, ვერც ეს არგუმენტი უძლებს კრიტიკას. კონცენტრაცია შინაგან ძალისხმევასთანაა

დაკავშირებული. როცა რაიმე გარე საგანი ან მოვლენა კი არ მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას, არამედ შინაგან ძალთა მობილიზებით, ჩვენი თავისუფალი ნებით ვახდენთ კონცენტრირებას რაიმე საგანზე. კომპიუტერის ეკრანზე განვითარებული მოვლენების ე.წ. „შემწოვი ეფექტის“ გამო ბავშვები (და არა მარტო ისინი) მონუსხულები შეჰყურებენ ეკრანს.

რიგ შემთხვევაში, ამას ემატება კომპიუტერული პროგრამების საექვო ხასიათი, როცა მათ შემქმნელებს, ფინანსურის გარდა, სხვა ტიპის ინტერესიც გააჩნიათ (მაგალითად იდეოლოგიური, რელიგიური). ამ შემთხვევაში, ბავშვი არაცნობიერად, მავანთა ინტერესის გავლენის ქვეშ ექცევა და მისი მოკლევადიანი სასწავლო წარმატება შეიძლება ძალზე ძვირად დაგვიჯდეს.

მიუხედავად ამისა, ბევრი მშობელი მიიჩნევს, რომ კომპიუტერი კარგია მათი შვილების განვითარებისთვის, რადგან ბავშვები მშვიდად სხედან კომპიუტერთან და ხალისით სწავლობენ, აქეთ-იქით „უაზროდ ბოდილის“ ნაცვლად. უნდა დავარწმუნოთ მშობლები, რომ ამით საკუთარ შვილებს თვითიზოლაციისა და სოციალური უუნარობისაკენ უბიძგებენ და ხელს უწყობენ მოზარდის ვირტუალური რეალობის ტყვეობაში მოხვედრას. დღეს ბევრი ადამიანია, რომელსაც ზუსტად მიესადაგება ერთ-ერთი აპოკრიფტული ხელნაწერიდან შემდეგი სიტყვები:

„არიან ადამიანები, რომლებიც დიდ მანძილს იტოვებენ უკან და მაინც, ერთი ნაბიჯითაც კი არ წაწეულან წინ. ისე დგება საღამო, რომ არც ქალაქი უნახავთ და არც სოფელი, არც რაიმე ქმნილება და არც ბუნება, არც ძალი და არც ანგელოზი. რიდასთვის გაიხარჯნენ საბრალდებები!“

## ტელევიზია

მსოფლიოში, ყოველდღიურად, ოთხი-ექვსი საათის განმავლობაში, სამიდან თორმეტ წლამდე ასაკის უამრავი ბავშვი უყურებს ტელევიზორს. რა ხდება ამ დროს? რამდენადაც ეკრანზე გამოსახულება თვითონ მოძრაობს, ბავშვს შეუძლია თვალები მოასვენოს. ძოგჯერ, ამ ხერხით თვალის კლინიკებში სარგებლობენ – ოპერაციის შემდეგ, პაციენტს დღის განმავლობაში, ხუთი საათით ტელევიზორის ყურებას უწესებენ.

მაგრამ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ ბავშვი ტელევიზორის ყურებისას, საათობით არ ამუშავებს სრულიად ჯანმრთელი თვალის კუნთებს? გარკვეულ ფერთა პროეცირება ტელეეკრანზე პაწაწინა წერტილების სახით ხდება, რითაც სივრცითი გამოსახულების ილუზია იქმნება. გარდა ამისა, ეს ოპტიკური შთაბეჭდილებები ტვინმა უნდა გადაამუშაოს, რაც ცხადია სხვაგვარად ხდება, ვიდრე აქტიური ხედვითი პროცესის დროს. როცა თვალს დამკვირვებლის პოზიცია უჭირავს და გამუდმებულ მოძრაობაშია, მის ხედვით არეს ფერთა უნაზესი გრადაცია და ნამდვილი სივრცითი საგნები ავსებს. გარდა ამისა, ეკრანიდან წამოსული ზღვა ინფორმაცია სრულიად აღემატება ბავშვის შესაძლებლობას, მიიღოს და დამოუკიდებლად გადაამუშაოს შემოთავაზებული მასალა, რომელთა აქტიური გადამოწმება სინამდვილესთან კავშირში ბავშვს არ შეუძლია. ეს კი, შესაბამისად, გავლენას ახდენს ტვინის ჩამოყალიბების პროცესზე. ტვინი პასიური, ასოციაციური აზრობრივი მიმდინარეობების ინსტრუმენტად ფორმირდება და აქტიური, შემოქმედებითი აზროვნებისათვის გამოუსადეგარი ხდება. ამგვარად ჩამოყალიბებული ადამიანი, ცხოვრების მანძილზე იძულებულია გარედან მიიღოს არსებითი ინფორმაციები და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ახერხებს საკუთარი იდეებისა და გადაწყვეტილებების ქონას. თანაც, ამის მოთხოვნილება კი იშვიათად უჩნდება. სამაგიეროდ, ძალზე ძლიერადაა გამოხატული კრიტიკული აზროვნება, რომელიც აფასებს და განსჯის მოცემულ მდგომარეობებს. ბავშვი, მხოლოდ საკუთარი აქტივობის,

ყურადღებებიანობისა და რეალური სამყაროთი ცხოველი დაინტერესების საფუძველზე შეიძლება განვითარდეს.

თემას „ბავშვი ტელეეკრანის წინ“, გასულ წლებში, ამერიკასა და გერმანიაში უამრავი პუბლიკაცია მიეძღვნა. გვსურს, მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ თვალსაზრისზე. ადამიანის კუნთთა სისტემას გააჩნია თავისებურება, იმოქმედოს უაღრესად შეთანხმებულად და ერთობლივად. თუ ყურადღებით დავაკვირდებით ერთ რომელიმე წერტილს, შევამჩნევთ, რომ სხეულის სხვა კუნთებიც ისევე დაიძაბება და გაშეშდება, როგორც თვალისა, რომელიც იმ წერტილისაკენ არის მიმართული და არ იძვრის. შეუძლებელიცაა, გაფაციცებით იმზირებოდეთ ჭოგრიტით და თან ნერვიულად იქნევდეთ ფეხს. ამ ფენომენით აიხსნება ბავშვის უმოძრაოდ ჯდომა ტელევიზორის წინ, ნაცვლად იმისა, რომ ფიზიკურად იმოძრაოს, მიბადოს და გაიმეოროს ის პროცესები, რაც მის გარშემო ხდება, გამოიმუშაოს მოქნილობა, აზრიანად იმოქმედოს, ანუ დაკავდეს იმით, რაც უმნიშვნელოვანესია განვითარების ამ წლებში. ტელეეკრანს მოწყვეტილი ბავშვი, უცებ ისევე არაბუნებრივად მოუსვენარი ხდება, როგორი არაბუნებრივად მშვიდიც იყო რამდენიმე წუთის წინ, ტელევიზორთან ჯდომისას. ეს პირდაპირ კავშირშია იმ იძულებით უმოძრაობასთან, რომელიც ეუფლება ტელევიზორის წინ მჯდომ ბავშვს, ასე რომ ტელეეკრანს მოწყვეტილმა, არც კი იცის, რა მოუხერხოს საკუთარ თავს. იჩენს მიდრეკილებას აგრესიულობისაკენ, ცუდ ხასიათზეა და გამომწვევად იქცევა. ამ შემთხვევაში, გადაცემის შინაარსს მხოლოდ გამაძლიერებელი ან შემასუსტებელი გავლენა გააჩნია.

გვინდა მოგუწოდოთ მშობლებს, ჩაუფიქრდნენ ბავშვებზე ტელევიზიის ზემოქმედების საკითხს. იმ მშობელმაც, რომელიც თავის შვილში ამ სიმპტომებს გამოკვეთილი ფორმით ვერ ხედავს ან საერთოდაც ვერ ამჩნევს, თავის თავს ასეთი კითხვა დაუსვას: განვითარების რა შესაძლებლობები ეკარგება ჩემს შვილს იმით, რომ თავისი ცხოვრების უამრავ საათს ისეთ საქმიანობაში ატარებს, რაც მის საკუთარ აქტივობას არ განაპირობებს?

აქ ჩამოვთვლით იმ ბავშვების თვალშისაცემ სიმპტომებს, რომლებიც სისტემატიურად უყურებენ ტელევიზორს:

- ყოველგვარი დისტანციის გარეშე შედიან კონტაქტში სხვა ადამიანთან, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ნამდვილ პირად კონტაქტს ვერ ამყარებენ.
- არ ძალუძთ სხვის მშვიდ მზერას ასეთივე მზერა შეაგებონ.
- სვამენ ზედაპირულ კითხვებს და პასუხს განსაკუთრებული ინტერესით არ ელოდებიან.
- იძლევიან ზედაპირულ და სტერეოტიპულ პასუხებს.
- ამუღავნებენ ინტერესის ნაკლებობას.
- აზროვნება სწრაფ და მზა ასოციაციებში მიმდინარეობს.
- ენა, როგორც თვითგამოხატვის საშუალება, პრიმიტიული რჩება.
- კლებულობს წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარი. მოსმენილი სიტყვაც ძნელად ახერხებს ბავშვში საკუთარი წარმოდგენების აღძვრას.
- ბავშვი ნაკლებად კითხულობს და უპირატესობას გამოსახულებებს ანიჭებს, მაგ. მეტწილად კომიქსებს.
- ვერ ახდენს წაკითხულისა და ნანახის გადამუშავებას.
- ეზღუდება კონცენტრირების უნარი.
- იქმნება საშიშროება, მომავალში გაუჩნდეს მიდრეკილება ალკოჰოლის, მედიკამენტებისა და ნარკოტიკებისადმი, რადგან ბავშვი ეჩვევა იმპულსების და მშვინვიერი შინაარსების საკუთარი გარჯილობის გარეშე მოპოვებას, ასე ვთქვათ, ღილაკზე თითის დაჭერით.
- ნების განვითარება არსებითად ირღვევა, რადგან ბავშვი უმოძრაოდ ზის ტელეეკრანის წინ და ვერ ახერხებს იყოს აქტიური და მიმბაძველი,

როგორც უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივ შემთხვევაში. ტელევიზიით ტკობას ამიტომაც მოსდევს დაუხარჯავი და გამოუყენებელი ენერჯისგან დაცლა აგრესიული და ქაოტური ფორმით.

მიუხედავად ამ ჩამონათვალისა, არაერთხელ მოგვისმენია მსგავსი მოსაზრებები:

- ასეთი ცუდიც არ შეიძლება იყოს...
- მაშ რატომ არსებობს საბავშვო გადაცემები?
- უკეთესია ბავშვი სახლში უყურებდეს ტელევიზორს, ვიდრე მეზობლებთან...
- ადამიანი ინფორმირებული უნდა იყოს და ბავშვებსაც სურთ, შეძლონ საუბარში მონაწილეობის მიღება...

ამ მოსაზრებებს კითხვის ფორმით უნდა ვუპასუხოთ:

- ნუთუ ტელევიზია მხოლოდ იმიტომ უნდა მივიჩნიოთ ბავშვისათვის სასარგებლოდ, რომ არსებობს საბავშვო გადაცემები და ბავშვებისაკენ მიმართული ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა მთელი ინდუსტრია?
- რას დაკარგავს ბავშვი, თუ ვთქვათ, ფუტკარს ეკრანზე გამოხატული კარიკატურის ნაცვლად, რომელიმე მოთხრობიდან ან ბუნებაზე დაკვირვების გზით გაიცნობს?

იდეალური ვარიანტია, როცა ტელევიზია, როგორც ინფორმაციის საშუალება, მაშინ შემოდის ბავშვის ცხოვრებაში, როცა ნებისა და გრძნობათა სამყაროს ფორმირება, გარკვეულწილად დასრულებულია, ე.ი. ცამეტიდან თხუთმეტ წლამდე. ტელევიზორს, მეათე წლამდე, ე.წ. „რუბიკონამდე“ კი ყველა შემთხვევაში, ტაბუ უნდა ჰქონდეს დადებული.

რაც უფრო მეტად სწამთ მშობლებს თავიანთი გადაწყვეტილებების სისწორის, მით უფრო იოლად დაჰყვება შვილი მათ ნებას. თუ მშობლები მაინც თვლიან, რომ შვილს რაღაც აკლდება, როცა „საუბარში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია“, იწყება გაუთავებელი დისკუსიები და არცთუ იშვიათად უსარგებლო კომპრომისებიც.

## კომიქსი

კომიქსი უფრო მეტად ბავშვის წარმოსახვით უნარზე მოქმედებს და მისი გავლენა ბავშვის ქცევაში ისე უშუალოდ არ იკითხება, როგორც ტელევიზიისა. დავახატინოთ კომიქსის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ბავშვებს რაიმე და ჩვენ შეგვაძრწუნებს მათი „შემოქმედების ნაყოფთა“ სილატაკე და სტერეოტიპულობა. არშიაშემოვლებული დრუბლები, კარგად ნაცნობი, დადმეჭილი სახეები. შაბლონები ხშირად მეორდება და არც განსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩევა. ასეთი ბავშვები ზღაპრის მოსმენის დროსაც ვერ ახერხებენ საკუთარი სურათების წარმოსახვას, თავისთავად ამოტივტივდებიან უკვე გამზადებული, კარიკატურული, მახინჯი „ავტომატიზმები“.

მაინც რატომ ხიბლავთ ბავშვებს ამგვარი სერიული სურათები და სხვათა შორის ბევრად უფრო ადრე, სანამ ამ სურათებზე მიხატულ ბუშტებში ჩაწერილი სიტყვების თუ ფრაზების შინაარსის გაგებას შეძლებენ? იმიტომ, რომ მათი აზროვნება ჯერ კიდევ არ არის მიდრეკილი უსურათო-აბსტრაქტულობისაკენ და აღქმითი სამყაროს სურათებით განოციერებული სურათ-ხატოვანი ცნობიერება გააჩნიათ.

მოწიფულ ადამიანს, თავისი მოწიფული აბსტრაქტული აზროვნების უნარის მეოხებით, შესწევს ძალა დაშორდეს კომიქსებსა და ტელე-სურათებს. შეუძლია თავიდან მოიშოროს ისინი – ბავშვს ეს არ ძალუძს.

მისი ფანტაზიის განვითარება პარალიზებულია. ასეთი ბავშვები მხოლოდ სურათებით ახერხებენ აზროვნებას და პირდაპირ “ჭკუას კარგავენ” ყოველ სურათზე, რომელიც კი მათი მხედველობის არეში ხვდება.

ამას ისიც ემატება, რომ ხშირად იდეალური შინაარსები, რომლებიც ზნეობრიობის თვალსაზრისით ძალზე ღირებულია, კარიკატურულ სურათებთან არის დაკავშირებული. ხდება იდეალებისა და წმინდა ცნებების ამგვარ სურათ-ხატობრივ წარმოდგენებთან მიბაძვა. როცა, მაგალითად, ტარზანის მსგავსი გმირი მარსიანელი მოჩვენების კლანჭებიდან იხსნის გაშარუებულ სილამაზეს, ბავშვის ცნობიერებაშიც უნებურად ხდება ისეთი ცნებების, როგორიცაა ადამიანი, სიმამაცე, სილამაზე, სიყვარული და არამიწიერი არსება სურათ-ხატობრივ წარმოდგენებთან მიბმა.

დასკვნა ასეთია: კომიქსები და შესაბამისი ტელე-ფილმები არღვევენ ბავშვის ბუნებრივ კავშირს გარე სამყაროსთან, შეჰყავთ იგი მოჩვენებით რეალობაში, სადაც შინაარსები და ზნეობრივი ღირებულებები დამახინჯებული ფორმით ხვდება. რაც მეტი ირეალური, ყალბი და ფანტასტიკური წარმოდგენა დაეუფლება ადამიანს, მით უფრო ნაკლებად იგრძნობს იგი თავს სამყაროში ფესვგადგმულად და ადვილად მოექცევა შინაგანი ეჭვის, ურწმუნოების და ეგზისტენციალური შიშების გავლენის ქვეშ, რითაც სამყაროსაგან უფრო დისტანციური ხდება.